საექსპერტო შეფასება

შესრულებულია არქიტექტურული პროექტის "ტექნუკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

საფუძველი: „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილება.

ობიექტის მისამართი: ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი-3, ზემო პლატო, კორპუსი №10-ის მიმდებარედ (ს/კ:01.19.20.020.053)

ობიექტის ფუნქციური დანიშნულება: სამეურნეო და საწარმოო ობიექტები - სასაწყობო დანიშნულების შენობა.

საპროექტო ორგანიზაცია/პროექტის ავტორ(ებ)ი: დ.მარგალიტაშვილი ; მ.მარგალიტაშვილი

წარმოდგენილი მასალა: არქიტექტურული პროექტი („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებით)

გამოსაკვლევი ნაწილები:

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების შესაბამისად წინამდებარე საექსპერტო შეფასება მოიცავს არქიტექტურული პროექტის შემდეგ ნაწილებს:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

ვ) მისაწვდომობის შეფასებას;

ზ) გარეკედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;

კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

ლ) წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

მ) ლიფტების შეფასებას;

ნ) ღია ავტოსადგომის შეფასებას.

გამოკვლევა

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, (ს/კ:01.19.20.020.053) -ით, 2128 კვ.მ ფართობის საპროექტო მიწის ნაკვეთზე ლითონის კონსტრუქციის, პავილიონის ტიპის, 6 მეტრი სიმაღლის, 18 მეტრიანი მალის მქონე სასაწყობო სივრცის და ამავე სივრცეში ორდონიანი ადმინისტრაციის ბლოკის მოწყობა , რომელებსაც არ გააჩნია მიწისქვეშა სართული.

- პროექტს წინაპირობად უდევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის № **3694490** , 05/12/2017 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება .

საპროექტო შენობაში განთავსებულია რამდენიმე ფუნქციური დანიშნულების სივრცე: ერთი კაბინეტი, რომელიც გათვალისწინებული არის, საწყობში მომსახურე პერსონალისთვის, ასევე არის ლითონის ნაწილების შესანახი სასაწყობო ფართი. შენობას არ გააჩნია მინუს სართული. გამომდინარე აქედან საქმე გვაქვს რამდენიმე დაკავებულობის ჯგუფთან, ესენია:

- სასაწყობო ჯგუფი სწ-1 (საშუალო საფრთხის შემცვლელი სასაწყობო ქვეჯგუფი

  (მეტალოპლასტმასის და ფურნიტურის სასაწყობო სივრცე)

  - საქმიანი ჯგუფი სქ (მომსახურე პერსონალისთვის)

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვებისშეფასება:

მიწისპირა სართულის ±0,00 ნიშნულზე არის მეტალოპლასტმასის და ფურნიტურის სასაწყობო სივრცის ფართობი, რომელიც სწ-1 ჯგუფს მიეკუთვნება, არის ასევე საწყობში მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილი ფართობი, რომელთა დაკავებულობები განსაზღვრულია როგორც სქ ჯგუფად.

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განთავსებულ თითოული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას, დაკავებულობები არის კლასიფიცირებული მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება 302- ქვეთავს. პროექტში გამოყენებულია სასაწყობო ქვეჯგუფის დაკავებულობა სწ-1 და საქმიანი ჯგუფი სქ.

ყოველი ზემოხსენებული სივრცის დაკავებულობა სწორად არის განსაზღვრული და შეესაბამება „წესების“ 303.3, 303.4, 309, 310.4, 311.2, 311.3 და 312 ქვეთავის მოთხოვნებს.

დაკავებულობის დატვირთვის ნაწილშიც საპროექტო დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაცია აკმაყოფილებს „წესების“ 1004.1.2 ცხრილის მოთხოვნებს კერძოდ:

- ±0,00 ნიშნულზე საწყობის დარბაზის ერთეულისათვის (სწ-1) მიკუთვნებულია, 1004 ქვეთავის- 1004.1.2 ცხრილის მიხედვით, განსაზღვრულია შემდეგი დაკავებულობის ფაქტორი: მანქანების შესაკეთებელი სივრცე 27,9 (მეტალოპლასტმასის და ფურნიტურის სასაწყობო სივრცე); დაკავებულობის დატვირთვა ჯამურად უდრის 34 დამკავებელს.

- ±0,00 ნიშნულზე საქმიანი წარმოების(ბიზნეს) ფართობებისთვის (სქ) მიკუთვნებულია საწყობში მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილ კაბინებტებზე, და შემდეგ მთლიანი ფართობი (ფართობი ერთეულის შემომსაზღვრელ კედლებს შორის) გაყოფილია შესაბამის

დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე ანუ 9,3-ზე. დაკავებულობის დატვირთვა ჯამურად უდრის 6 დამკავებელს.

- ადმინისტრაციული ნაწილის მეორე დონის +3,00 ნიშნულზე საქმიანი წარმოების(ბიზნეს) ფართობებისთვის (სქ) მიკუთვნებულია საწყობში მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილ კაბინებტებზე, და შემდეგ მთლიანი ფართობი (ფართობი ერთეულის შემომსაზღვრელ კედლებს შორის) გაყოფილია შესაბამის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე ანუ 9,3-ზე. დაკავებულობის დატვირთვა ჯამურად უდრის 6 დამკავებელს.

დაკავებულობის დატვირთვა დამრგვალებულია მეათედის სიზუსტით.

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- პროექტის ავტორების მიერ საპროექტო შენობებისათვის მიკუთვნებული კონსტრუქციის ტიპი წარმოადგენს V-B ტიპს. შერჩეულია შენობების დაკავებულობის, სიმაღლის,სართულიანობისა და ფართობის გათვალისწინებით და აკმყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს. (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემეტებისათვის კონსტრუქციის ტიპების მიხედვით იხ. 601 ცხრილში).

გ)სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- საპროექტო ობიექტის სიმაღლე და ფართობი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციის ტიპებთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503ცხრილის მოთხოვნებს.შენობების სიმაღლე მიწის დონიდან განსაზღვრულია სწორად და არის 7,30 მ.
- იქიდან გამომდინარე რომ, შენობა აკმაყოფილებს V-B კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, 503-ე ცხრილის მიხედვით შენობის დასაშვები სიმაღლე არის 12,2 მეტრი.
- სართულის ფართობი საპროექტო დაკავებულობისთვის (სწ-1) არის 1240, ხოლო დასაშვები სართულიანობის რაოდენობა არის 2(ერთი).
- ±0,00 ნიშნულზე სართულის ფართობი საპროექტო დაკავებულობისთვის (სქ) არის 840, ხოლო დასაშვები სართულიანობის რაოდენობა არის 2(ორი).
- +3,00 ნიშნულზე სართულის ფართობი საპროექტო დაკავებულობისთვის (სქ) არის 840, ხოლო დასაშვები სართულიანობის რაოდენობა არის 2(ორი).
- ±0,00 ნიშნულზე სართულის ფართობი საპროექტო დაკავებულობისთვის (სწ-1) არის 947.65, ხოლო შემოთავაზებული სართულიანობის რაოდენობა საერთო ჯამში შეადგენს 1(ერთს).
- საპროექტო დოკუმნეტაციით ±0,00 ნიშნულზე სართულის ფართობი საპროექტო დაკავებულობისთვის (სქ) არის 44, ხოლო შემოთავაზებული სართულიანობის რაოდენობა საერთო ჯამში შეადგენს 2(ორს).
- +3,00 ნიშნულზე სართულის ფართობი საპროექტო დაკავებულობისთვის (სქ) არის 50, ხოლო შემოთავაზებული სართულიანობის რაოდენობა საერთო ჯამში შეადგენს 2(ორს).
- ვინაიდან შენობის ყველაზე მაღალი დაკავებული იატაკი არ მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 23მ-ზე მაღლა, „წესების“ განმარტების მიხედვით შენობები არ არის მაღლივი.

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გსასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.

წესების მე-10 თავის 1021. 2 ქვეთავის 1021. 2(2) ცხრილიდან და დაკავებულობის დატვირთვებიდან გამომდინარე მიწისპირა სართულზე განთავსებულ სასაწყობე ქვეჯგუფის დაკავებულობას ესაჭიროება ორი გასასვლელის გზა-კარი, პროექტში კი, ჯამურად გათვალისწინებულია 3(სამი) გასასვლელი გზა-კარი, რაც ასევე ითვალისწინებს გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალ მანძილებს და აკმაყოფილებს 1021. 2(2) ცხრილის მოთხოვნებს.

(სწ-1 დაკავებულობით) 10-ე თავის (ქვეთავი 1005 -გასასვლელი საშუალების ზომა) მიხედვით ღიობების მოთხოვნილი რაოდენობა არის 2, ხოლო პროექტით გათვალისწინებულია 3 კარი .

გასასვლელის სხვა კომპონენტები მოთხოვნილია 0.82მ, ხოლო პროექტით გათვალისწინებულია 3,90X4,70მ , 3 (სამი) კარი, ითვალისწინებს გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალურ სავალ მანძილებს და აკმაყოფილებს 1021. 2(2) ცხრილის მოთხოვნებს. მაქსიმალური სავალი მანძილი საპროექტო შენობაში განსაზღვრულია 35 მ.

(სქ დაკავებულობით) 10-ე თავის (ქვეთავი 1005 -გასასვლელი საშუალების ზომა) მიხედვით ღიობების მოთხოვნილი რაოდენობა არის 1, ხოლო პროექტით გათვალისწინებულია 2 კარი .

გასასვლელის სხვა კომპონენტები მოთხოვნილია 0.82მ, ხოლო პროექტით გათვალისწინებულია 3,90X2,72მ , 2 (სამი) კარი, ითვალისწინებს გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალურ სავალ მანძილებს და აკმაყოფილებს 1021. 2(2) ცხრილის მოთხოვნებს.

- გასასვლელი გრძელდება 1027 ქვეთავის მიხედვით მოწყობილი შენობიდან, რომელიც ითვალისწინებს დაუბრკოლებლად უზრუნველყოფას შენობიდან გამოსასვლელით საზოგადოებრივ სივრცეში.

ე)გზა-კიბეებისა და სხვაგასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

- შენობის გზა-კიბეების სიგანე არის 1,1 მ, რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს.კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარის გასწვრივ, მოწყობილია მოაჯირი 1013 ქვეთავის შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს მოწყობილია სახელური 1012 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ხოლო გზა-კიბეების ბაქნების ზომები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს;

- სხვა გასასვლელი საშუალებებიც სწორად არის დაგეგმარებული, კერძოდ:

ყველა კარის (რაც გასასვლელი საშუალების ნაწილია) სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს 82სმ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 1008.1.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

ვ)მისაწვდომობი ს შეფასება:

- შენობის ყველა შესასვლელი არის მისაწვდომი, კერძოდ: შენობის იატაკის ნიშნული და საზოგადოებრივი სივრცის ნიშნულის სხვაობა შეადგენს 15 სმ.-ს პროექტანტმა გაითვალისწინა პანდუსი, შესაბამისად საპროექტო შენობის სივრცის შესავლელი მისაწვდომია. პანდუსი აკმაყოფილებს 1010,9 ქვეთავის მოთხოვნას (სახელურებთან დაკავშირებით, ზემოთ აღნიშნული პანდუსი 15 სანტიმეტრს არ აღემატება და არ საჭიროებს სახელურების მოწყობას). ასევე აკმაყოფილებს 1010.7.2 და 1010.7.3 მოთხოვნებს;
- შენობის ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია არის მისაწვდომი;
- სწორად არის განსაზღვრული მისაწვდომი სვლა-გეზი და აკმაყოფილებს 1104 ქვეთავის მოთხოვნებს;

- საწყობში ასევე არის მოწყობილი 3(სამი) 11%- მდე დახრის პანდუსი, რომელიც გათვალისწინებულია მცირე ზომის ტვირთ გადამზიდავებისთვის. აღნიშნული პანდუსი, შეესაბამება 406.9.4 ქვეთავის მოთხოვნას. რადგნ საწყობში
- არ ხდება არსებული სატრანსპორტო საშუალების გაჩერება არ საჭიროებს სპეციალურ დახაზვას, ასევე არ საჭიროებს 3,5 მ. სიგრძის 8%-10% ამდე პანდუსის დასაწყისში ცვლილებას, რადგან როგორც ზევით ავღნიშნეთ, სპეციალური სატრანსპორტო მცირე ზომის ტვირთ გადამზიდავებისთვის არის, რომელის გადაადგილებასაც 18% იანი დახრის პანდუსიც, კი არ ახდენს მის დაზიანებას.

ზ)გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ გარე კედლის ღიობები ს მაქსიმალური ფართობი , ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობის დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია 705 ქვეთავის მიხედვით და შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს. მოცემული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით.

განსხვავებული ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გათვალისწინებით საპროექტო შენობების კედლებს, 602 ცხრილის მიხედვით, სხვადასხვა ცეცხლმედეგობის ხარისხი ეკუთვნის. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე:

- პროექტანტმა შენობის „1“-„9“ ფასადის კედლებზე ცეცხლმედეგობის ხარისხი 2 საათიანი გაითვალისწინა, მოთხოვნით ესაჭიროებოდა 2(ორ) საათიანი, რადგან მათი დაშორება საკადასტრო წითელი ხაზიდან 0,82 მეტრს შეადგენს;

- „9“-„1“ ფასადის კედლებზე ცეცხლმედეგობის ხარისხი 1 საათიანი გაითვალისწინა, მოთხოვნით ესაჭიროებოდა 1(ერთ) საათიანი, რადგან მათი დაშორება საკადასტრო წითელი ხაზიდან 3,4-11,7 მეტრს შეადგენს;

- „ა“-„ზ“ ფასადის კედლებზე ცეცხლმედეგობის ხარისხი არ ესაჭიროებოდა რადგან დაშორება ესაჭიროება, რადგან მათი დაშორება საკადასტრო წითელი ხაზიდან 23,9 მეტრს შეადგენს;

- „ზ“-„ა“ ფასადის კედლებზე ცეცხლმედეგობის ხარისხი 2 საათიანი გაითვალისწინა, მოთხოვნით ესაჭიროებოდა 2(ორ) საათიანი, რადგან მათი დაშორება საკადასტრო წითელი ხაზიდან 1,0 მეტრს შეადგენს;

- რაც შეეხება გარე კედლებში განთავსებული ღიობების ფართობებს, ის აკმაყოფილებს 705.8 ცხრილის მოთხოვნებს;

თ)სახურავის ანაწყობების შეფასება:

- შენობის სახურავის სტრუქტურის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრული არის 601 ცხრილის მიხედვით, კონსტრუქციული ტიპის შესაბამისად. ცეცხლმედეგობის ხარისხი (V-B) კონსტრუქციის ტიპისთვის არ არის საჭირო და შესაბამისად არ არის გათვალისწინებული.
შენობის გადახურვის ტიპი არის ორქანობიანი (მინიმალური ქანობი 7%)
ბურულად გამოყენებულია ქვაბამბის იზოლაციის მქონე სენდვიჩპანელი ლითონის თუნუქის ფურცლების გადახურვა. იგი წესების 1505.1 ცხრილის მიხედვით შეესაბამება B კალსის სახურავის ანაწყობს, აკმაყოფილებს 1507.4 ქვეთავის მოთხოვნას ქანობთან დაკავშირებით და 1507.4.3(1) ცხრილის მოთხოვნას სახურავის ბურულის ზედაპირთან დაკავშირებით (გალვანიზირებული, გაფრირებული ფოლადი).
სახურავს გააჩნია წყალარინი ღარები და მილები.

ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

- საპროექტო შენობაში არსებული სასაწყობო და საქმიანი ჯგუფის ერთეულები ერთმანეთისგან არ არის გამიჯნული, რადგან დაკავებულობის მიხედვით 708.3 ქვეთავის შესაბამისად არ ესაჭიროება.
- საპროექტო შენობაში +3,00 ნიშნულზე არის ერთი დაკავებულობა - საქმიანი ჯგუფის ერთეული, ერთმანეთისგან არ არის გამიჯნული, რადგან დაკავებულობის მიხედვით 708.3 ქვეთავის შესაბამისად არ ესაჭიროება.

კიბის უჯრედი შენობაში არის გამიჯნული , იგი განიხილება როგორც ცალკე მდგომ ობიექტად სწ-2 ჯგუფისგან და არ არღვევს 1009.3 ქვეთავის მოთხოვნას. კიბის კონსტრუქცია წარმოადგენს 2 საათიან ცეცხლმედეგობის ანაწყობს , რაც დასაშვებია 1009.3.1.8 ქვეთავის განსაზღვრულ მოთხოვნებს;

კ)ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას:

შენობა შეადგება 311.3 -ის მიხედვით(მცირე საფრთხის შემცველ სასაწყობო ჯგუფის) სწ-2 ისაგან და სქ დაკავებულობა (ქვეთავი 304 - საქმიანი ჯგუფი) სადაც ავტოსაშხეფი სისტემის აუცილებლობლა არ გვხვდება. პროექტით გათვალისწინებულია:

- ხელის ცეცხლმაქრები სწ-1 და სქ ჯგუფისათვის.

პროექტის მიხედვით შენობა შეესაბამება 403.3 და 903.3.1.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

ლ)წყალსადენისისტემისფიქსირებულიმოწყობილობებისშეფასება:

წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა შეესაბამება ცხრილი წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა შეესაბამება ცხრილი 1602.1-ის მინიმალურ მოთხოვნებს, სწ-1-ისა და სქ-ის დაკავებულობებისათვის.

დასკვნა

ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი-3, ზემო პლატო, კორპუსი №10-ის მიმდებარედ, შპს "მომავლის სახლი"-ს საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.19.20.020.053) დაპროექტებული სასაწყობო შენობის პროექტი შესაბამისობაშია "ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების; №498 2017 წლის 20 ნოემბერს დადგენილებაში შეტანილი ცვლილების ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად. მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

გაფრთხილება:

სახანძრო უსაფრთხოების სისტემების და მასთან დაკავშირებული საინჟინროკომუნიკაციების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა - ნაგებობისუსაფრთხოების წესები"-ს მოთხოვნების დაცვით!

ექსპერტი: მ. შელეკიძე 16 იანვარი 2018წ.

გამოყენებული მასალები:

დ. მარგალიტაშვილი; მ.მარგალიტაშვილის მიერ შესრულებული არქიტექტურული პროექტი.

1. **გამოყენებული (კანონმდებლობა, რეგლამენტები, წესები, სტანდარტები.....)**

„მშენებლობისნებართვისგაცემისწესისადასანებართვოპირობებისშესახებ“ საქართველოსმთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ V თავი.

3. „ტექნიკურირეგლამენტის„შენობა-ნაგებობისუსაფრთხოებისწესების“ დამტკიცებისთაობაზე“საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.

4. №498 2017 წლის 20 ნოემბერს დადგენილებაში შეტანილი ცვლილების ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე.

ექსპერტის მონაცემები

სახელი: მაკა

გვარი : შელეკიძე

დაბადების თარიღი: 02 ივლისი 1979 წელი

დაბადების ადგილი: ქ.თბილისი

ტელეფონი: +995(5)93 577 416

E-mail m.shelekidze@gmail.com

პროფესია: არქიტექტორი

სამუშაო გამოცდილება: 15 წელი

პროფესიული გამოცდილება:

2004-2005 წ.წ – სს "საქალაქმშენპროექტი"

სამედიცინო ობიექტების პროექტირება/დიზაინი

არქიტექტორი

2005-2009 წ.წ – შპს "ბრაფიტი"

მრავალფუნქციური შენობების პროექტირება/დიზაინი

არქიტექტორი

2008-2016 წ.წ – შპს "იტალლივინგი"

საპროექტო კომპანია

დირექტორი

2016-2017 წ.წ – ს.ს.ი.პ საბანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტო

არქიტექტორი

2017-დღემდე – შპს "ბონა დეა და კომპანია"

ს.ს.ი.პ საბანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტო

არქიტექტორი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

STU № 009041

This is to certify that Mr./Mrs. *Maka Shelekidze* in *the year 2002* completed a full academic course of the *Georgian Technical University* majoring in *Architecture*

By resolution of the State Examination Board, dated *July 15, 2002* *Mrs Maka Shelekidze* is conferred the present DIPLOMA and the qualification of *Architect*

Seal

Rector ....

Chairman of the State Examination Board ....

Dean ....

City *Tbilisi* *September 30, 2002*

Registration № *06509* Secretary ....

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2001 წელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დ ი პ ლ ო მ ი

სტუ № 009041

მიეცა *მაკა ხარიტონის ასულ შელეკიძეს* მასზედ, რომ მან *2002* წელს დაამთავრა *საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის* სრული კურსი, სპეციალობით *არქიტექტურა*

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *2002* წლის *15 ივლისის* გადაწყვეტილებით *მაკა ხარიტონის ასულ შელეკიძეს* მიენიჭა *არქიტექტორის* კვალიფიკაცია

რექტორი ....

ბ.ა. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ....

დეკანი ....

ქალაქი *თბილისი* *30 სექტემბერი, 2002 წ.*

სარეგისტრაციო № *06509* მდივანი ....

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017 - 114

გადაეცემა

მაკა შელეკიძეს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი